დანართი N1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში - სამსახურები) ინსტიტუციური მოწყობის შეცვლის მიზნით, რეორგანიზაციის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად და ადგენს მერიის სავარაუდო ნაწილობრივ ან მთლიანად ახალ სტრუქტურის პროექტს, რეორგანიზაციის ვადებს, გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რეორგანიზაციის პროცესში მერიის საქმიანობის რეჟიმს და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 2. სარეორგანიზაციო სტრუქტურული ერთეულები

1.რეორგანიზაცია შეეხება მერიის სამსახურებს, კერძოდ:

ა)ადმინისტრაციულ სამსახურს;

ბ) შიდა აუდიტის სამსახური;

გ) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

დ)ზედამხედველობის სამსახური;

ე)სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური;

ვ)სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;

ზ)კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

რეორგანიზაციის მიზანია მერიის სტრუქტურული და ფუნქციური ოპტიმიზაცია, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს სტრუქტურული ან/და ორგანიზაციული ცვლილებები, შტატების შემცირებით ან/და გადაადგილებით, ასევე სამსახურ(ებ)ის გაუქმება.

2. რეორგანიზაციის მიმდინარეობის პროცესში შესაძლოა მიზანშეწონილი აღმოჩნდეს მერიის სხვა სტრუქტურების ოპტიმიზაცია და ფუნქციების ახლებურად განსაზღვრა.

მუხლი 3. სარეორგანიზაციო ღონისძიებები და ჩატარების ვადები

1.საკრებულოზე წარსადგენად:

ა) რეორგანიზებული მერიის სტრუქტურისა და მერიის სამსახურების დებულებების პროექტების მომზადეს არაუგვიანეს 2022 წლის 25 მაისისა;

ბ),,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს N17 დადგენილების და სხვა სამართლებრივი აქტების ცვლილების შეტანის თაობაზე, პროექტი მომზდდეს, არაუგვიანეს 2022 წლის 25 მაისისა.

,,დ) საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის პროექტის მომზადება;

ე) საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტის მომზადება;

ვ) რეორგანიზაციის გამო თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა;

ზ) მობილობის პროცესის უზრუნველყოფა არაუგვიანეს 2022 წლის 11 ივლისისა;

თ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანებების პროექტების მომზადება და გამოცემა არაუგვიანეს 2022 წლის 11ივლისისა;

ი) მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში შტატების შემცირების შედეგად მოხელეთა გათავისუფლება და რეზერვში ჩარიცხვა არაუგვიანეს 2022 წლის 11 ივლისისა.“

2. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის:

ა) სამსახურების საჯარო მოხელეების გაფრთხილება რეორგანიზაციის შესახებ;

ბ) შესაბამისი სამსახურების შვებულებაში მყოფი თანამშრომლების გამოძახება და ინფორმირება მოსალოდნელი რეორგანიზაციის, შტატების შემცირებისა და სამსახურის გაუქმების შესახებ;

გ) ვაკანტურ თანამდებობებზე (არსებობის შემთხვევაში) კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით.

3. მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია განხორციელდეს 3 თვის ვადაში, ხოლო რეორანიზაციის დასრულებამდე სამსახურებმა იხელმძღვანელონ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სამსახურების დებულებების შესაბამისად.

მუხლი 4. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

გეგმის შესრულებას კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, რომელმაც საკრებულოს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.